



# წალენჯიხის თავისუფლებათა ქარტია

დემოკრატია ეფუძნება ინკლუზიურობისა და მოქალაქეთა თანაბარი წარმომადგენლობის იდეას, რომელიც ერთი მხრივ - თითოეულ მოქალაქეს საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში იყოს სრულფასოვანი თანამონაწილე-სუბიექტი და მეორე მხრივ - ხელს უწყობს განსხვავებულ ინდივიდთა ჯგუფებს შორის საზოგადოებრივ კონსენსუსს და ამით - საზოგადოების, როგორც მთელის, მდგრად განვითარებას.

მოქალაქეთა რეალური დემოკრატიული ჩართულობისა და თანამონაწილეობისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი, მოქნილი და თავისუფლად ფუნქციონირებადი პირდაპარი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის მექანიზმების არსებობა - თავისუფალი არჩევნები და რეფერენდუმები, პლემბისციტები.

დღეს როდესაც პოლიტიკური პოლარიზაცია კრიტიკულ ზღვარზეა, ხოლო ჩატარებული არჩევნები საზოგადოების დიდ ნაწილში უნდობლობას იწვევს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია განსხვავებულ ჯგუფებს შორის ნდობისა და კონსენსუსის მიღწევის მდგრადი მექანიზმების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივ კონსენსუსზე დაფუძნებულ განვითარებას.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, წალენჯიხის ახლადარჩეული მერის ინიციატივითა და წალენჯიხის საზოგადოების წარმომადგენლების, განსხვავებული პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წევრების თანამშრომლობით ვაფუძნებთ საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმებს:

1. საზოგადოებრივი რეფერენდუმი
2. სათემო საზოგადოებრივი საბჭო
3. მუნიციპალური საზოგადოებრივი დარბაზი
4. სამოქალაქო თანამონაწილეობითი ბიუჯეტი

მოცემული საზოგადოებრივი მექანიზმები არის ნაწილი მოქალაქეთა თანამმართველობის ფართო სისტემის.

მიზნად ისახავს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლების დაცვას და მოქალაქეთა ეფექტურ თანამონაწილეობას შესაბამისი ტერიტორიალური ერთეულთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების, აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში.

მოცემული მექანიზმები ან რაიმე სხვა, არ შეიძლება იყოს მიმართული ან გამოყენებული საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის ფუნდამენტურ უფლებების საზიანოდ და ამ მექანიზმებში მონაწილეობისას ვინმეს დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით - დაუშვებელია.

## **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა თვითორგანიზებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის**

### **ხელშეწყობის მექანიზმები**

#### **1. ძირითადი დებულებები**

- 1.1. მოცემული საზოგადოებრივი მექანიზმები არის ნაწილი მოქალაქეთა თანამონაწილეობის ფართო სისტემის.
- 1.2. მიზნად ისახავს მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლების დაცვას და მოქალაქეთა ეფექტურ თანამონაწილეობას შესაბამისი ტერიტორიალური ერთეულთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შემუშავების, მიღების, აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესში
- 1.3. მოცემული მექანიზმები ან რაიმე სხვა, არ შეიძლება იყოს მიმართული ან გამოყენებული საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის ფუნდამენტურ უფლებების საზიანოდ და ამ მექანიზმებში მონაწილეობისას ვინმეს დისკრიმინაცია რაიმე ნიშნით დაუშვებელია

#### **2. საზოგადოებრივი რეფერენდუმი/პლემბისციტი**

- 2.1. პირდაპირი დემოკრატიის საზოგადოებრივი მექანიზმი, რომლის ფუნქციაა საზოგადოებრივი რეფერენდუმი/პლემბისციტზე დასმულ საკითხთან დაკავშირებით, მასში მონაწილეთა დამოკიდებულების გამოვლენა, მათ შორის:
  - 2.1.1. შესაბამისს დონეზე (მუნიციპალური, სათემო) მიღებული გადაწყვეტილების შეჩერებასთან დაკავშირებით ან/და
  - 2.1.2. შესაბამისს დონეზე (მუნიციპალური, სათემო) ახალი გადაწყვეტილების ინიცირება
- 2.2. შედეგები არის სარეკომენდაციო ხასიათის
- 2.3. საკითხ(ებ)ი და მონაწილე პირთა წრე განისაზღვრება ჩატარების ინიციატორთა მიერ
- 2.4. ინიციატორი შეიძლება იყოს:
  - 2.4.1. მუნიციპალიტეტის მერი

- 2.4.2. საკრებულო
- 2.4.3. მუნიციპალური საზოგადოებრივი დარბაზი
- 2.4.4. სათემო საზოგადოებრივი საბჭო
- 2.4.5. მუნიციპალიტეტის რეზიდენტთა 1%
- 2.5. საორგანიზაციო ოფისი იქმნება და წევრებით კომპლექტდება მუნიციპალური საზოგადოებრივი დარბაზის ორივე პალატის მიერ. საჭიროებს მერის მიერ დამტკიცებას
- 2.6. ხარჯები შეიძლება დაფინანსდეს მერიის, საკრებულოს, ან სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტების ფარგლებში

### **3. სათემო საზოგადოებრივი საბჭო**

- 3.1. საზოგადოებრივი მექანიზმი, რომლის ფუნქციაა სათემო დონეზე მდგარ საკითხების მოგვარებაში, მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროცესში ადგილობრივი თემის აქტიური და ეფექტური თვითორგანიზებისა და თანამონაწილეობის ხელშეწყობა, მათ შორის:
  - 3.1.1. სათემო დონეზე მიღებული გადაწყვეტილების შეჩერებასთან დაკავშირებით ან/და
  - 3.1.2. სათემო დონეზე ახალი გადაწყვეტილების ინიცირება
- 3.2. გადაწყვეტილებები არის სარეკომენდაციო ხასიათის
- 3.3. ფუნქცია მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტში
- 3.4. საბჭოს ფუნქცია და არჩევის წესი მიიღება ხდება ხმის უფლების მქონე თემის რეზიდენტთა მიერ, საზოგადოებრივ რეფერენდუმზე
- 3.5. საბჭოს პირველი შემადგენლობის სტრუქტურა, არჩევის წესი და მასთან დაკავშირებული საკითხები დგინდება მუნიციპალიტეტის მერი ან/და ხმის უფლების მქონე, მოცემული თემის რეზიდენტთა მიერ საზოგადოებრივ რეფერენდუმზე. ამ უკანასკნელის ჩატარების შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება პრიორიტეტულია.
- 3.6. სათემო საბჭოს წევრების არჩევა ხდება ყოველწელს
- 3.7. სათემო თვითმართველობის საზოგადოებრივ მექანიზმებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები შესაძლოა მიღებული იქნას შესაბამისს, სათემო საზოგადოებრივ რეფერენდუმზე.

### **4. მუნიციპალური საზოგადოებრივი დარბაზი**

- 4.1. საზოგადოებრივი მექანიზმი, რომლის ფუნქციაა მუნიციპალურ დონეზე მდგარ საკითხების მოგვარებაში, მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პროცესში ადგილობრივი თემის აქტიური და ეფექტური თვითორგანიზებისა და თანამონაწილეობის ხელშეწყობა, მ.შ.
  - 4.1.1. მუნიციპალიტეტის დონეზე მიღებული გადაწყვეტილების შეჩერებასთან დაკავშირებით ან/და
  - 4.1.2. მუნიციპალიტეტის დონეზე ახალი გადაწყვეტილების ინიცირება

- 4.1.3. მუნიციპალიტეტის დონეზე პროექტების განხილვა, რეკომენდაციების შემუშავება
- 4.2. გადაწყვეტილებები არის სარეკომენდაციო ხასიათის
- 4.3. შედგება ორი, თანაბაუფლებიანი პალატისაგან:
  - 4.3.1. სათემო საბჭო/პალატა - შედგება მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებული პუნქტიდან, პირდაპირი გზით არჩეული, თანაბარი რაოდენობის, წარმომადგენლისაგან
  - 4.3.2. მოქალაქეთა საბჭო/პალატა - ირჩევა მუნიციპალიტეტის საარჩევნო უფლების მქონე რეზიდენტებისგან პროპორციული წესით
- 4.4. დარბაზის წევრების არჩევა ხდება ყოველწელს
- 4.5. გადაწყვეტილება მიიღება ორივე პალატის მიერ ერთობლივად, პალატის შიგნით წევთა უმრავლესობით.
- 4.6. დარბაზის პირველი შემადგენლობის სტრუქტურა, არჩევის წესი და მასთან დაკავშირებული საკითხები დგინდება მუნიციპალიტეტის მერი ან/და ხმის უფლების მქონე, მუნიციპალიტეტის რეზიდენტთა მიერ საზოგადოებრივ რეფერენდუმზე. ამ უკანასკნელის ჩატარების შემთხვევაში მისი გადაწყვეტილება პრიორიტეტულია.
- 4.7. მუნიციპალურ დონეზე თვითმართველობის საზოგადოებრივ მექანიზმებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები შესაძლოა მიღებული იქნას შესაბამისს, მუნიციპალურ საზოგადოებრივ რეფერენდუმზე.

## **5. სამოქალაქო/თანამონაწილეობითი ბიუჯეტი**

- 5.1. მოქალაქეების მიერ პირდაპირი დემოკრატიის საფუძველზე მუნიციპალური საჯარო ბიუჯეტის ნაწილის განკარგვის საზოგადოებრივი მექანიზმი
- 5.2. ბიუჯეტის მოცულობას და მუნიციპალიტეტის თემებს შორის გადანაწილების სტრუქტურას, ასევე, ამ მექანიზმთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ დარბაზის წარდგინებით იღებს წალენჯიხის მერი
- 5.3. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია საზოგადოებრივი რეფერენდუმის გამოყენებით